



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული  
სააგენტოს  
გენერალური დირექტორი



KA990158145796018

№02/23

11 / მაისი / 2018 წ.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით დირეზული ობიექტებისათვის  
კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის  
უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების,  
„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს  
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს  
შორის გაფორმებული 2015 წლის 30 ოქტომბრის №02 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის „ა“  
პუნქტის შესაბამისად,



### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტებს.
2. დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.
3. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიების განხორციელება.
4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №4)

გენერალური დირექტორი

ნიკოლოზ ანთიძე

№	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა	სახეობა	თარიღი
1.		N1 საჯარო სკოლა	ქ. ზესტაფონი, რ. ლალიძის ქ. N29.	არქიტექტურის / ქალაქთმშენებლობის (ურბანული)	XX საუკუნის დასაწყისი
2.		დარბაზული ეკლესია	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. გუდალეთი, ნასოფლარი ვარჯაანი (GPS კოორდ. 41 49 50, 44 24 42)	არქიტექტურის	განვითარებული შუა საუკუნეები
3.		ყორჩიბაშიშვილების ციხე-გალავანი	თელავის მუნიციპალიტეტი, ქ. თელავი	არქიტექტურის	XVIII საუკუნე

4.		<p>დანიელ კონჯაძის სახლ-მუხეუმი</p>	<p>დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყვავილი</p>	<p>მემორიალური</p>	<p>XIX საუკუნე</p>
5.		<p>ბაქო – ბათუმის ნავთობსადენის გადასატუმბი შუალედური სადგური</p>	<p>მცხეთის მუნიციპალიტეტი, ქ. მცხეთა, არმაზის ქ. N2</p>	<p>არქიტექტურის / საინჟინრო / მეცნიერების, ტექნიკისა და მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლი</p>	<p>1903 წელი</p>